აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს

დადგენილება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მიერ შერჩეული საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს წევრთა - მეურვეთა კანდიდატურების საქართველოს პარლამენტისათვის წარდგენის შესახებ

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 209-ე მუხლის მე-8 პუნქტისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 144-ე მუხლის შესაბამისად,

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მიერ, საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს წევრებად - მეურვეებად ასარჩევად საქართველოს პარლამენტს წარედგინოს გიორგი კოხრეიძისა და თამილა დოლიძის კანდიდატურები.
2. ეს დადგენილება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დავით გაბაიძე

ბათუმი
2023 წლის 30 ოქტომბერი
№82-Iს